საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის

ბრძანება № 01-01/14

ქ. თბილისი 19.04.2024 წ.

სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების - განყოფილებების ხელმძღვანელების თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების შესახებ

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[4] მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდეგში -„ობსერვატორია") წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ", „პ" და „ტ" ქვეპუნქტების, მე-10 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების (სხდომა №3, 03.04.2024 წ.) და ობსერვატორიის საშტატო განრიგის (წერილი №92847, 31.01.2024 წ.) გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობებზე:

   ა) გალაქტიკების და ვარსკვლავების განყოფილება, 1 საშტატო ერთეული;

   ბ) მზის და მზის სისტემის განყოფილება, 1 საშტატო ერთეული;

   გ) თეორიული ასტროფიზიკისა და კოსმოლოგიის განყოფილება, 1 საშტატო ერთეული.
2. კონკურსი დაიწყოს 2024 წლის **19 აპრილს** და დასრულდეს არაუგვიანეს **20 მაისისა**, მათ შორის საკონკურსო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2024 წლის **13 მაისიდან 15 მაისის** (24:00 სთ.) ჩათვლით.

3. განისაზღვროს:

ა) შრომითი პირობები ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისათვის, წინამდებარე ბრძანების დანართ №1-ის შესაბამისად;

ბ) კონკურსში მონაწილეობის პირობები ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად, წინამდებარე ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის წესი, წინამდებარე ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად;

დ) საკონკურსო განცხადების ფორმა, წინამდებარე ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად;

ე) საკონკურსო განცხადების ფორმა ობსერვატორიის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის, წინამდებარე ბრძანების დანართი №5-ის შესაბამისად;

ვ) ავტობიოგრაფიის რეკვიზიტები, წინამდებარე ბრძანების დანართი №6-ის შესაბამისად.

4. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ (www.abao.ge).

5. ბრძანება ძალაშია გამოცემის დღიდან.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

დირექტორი რევაზ ჭანიშვილი